



THE USAID ECONOMIC  
SECURITY PROGRAM

# სექტორების და ღირებულებათა ჯაჭვების ანალიტიკა

მესამე დიაგნოსტიკური ანგარიში  
(2021 წლის პირველი კვარტალი)



Research

**ISET**  
International School of Economics at TSU  
Policy Institute

აგვისტო 2021

## შეჯამება

კვარტალური ანგარიში მოიცავს ექვსი სექტორის ღირებულებათა ჯაჭვებში არსებული ეკონომიკური ტენდენციების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების მიმოხილვას (ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე). ანგარიშის მიზანია, გააუმჯობესოს მონაცემთა ანალიზისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ანგარიშში გაანალიზებულია შემდეგი სექტორები: ტურიზმი, შემოქმედებითი ინდუსტრიები, მსუბუქი მრეწველობა, გაზიარებული ინტელექტუალური სერვისები, ნარჩენების მართვა და გადამუშავება და გამჭოლი (cross-cutting) სექტორები. ანგარიშში შეჯამებულია 2021 წლის პირველი კვარტლის მონაცემები<sup>1</sup>.

ქვევით მოცემულია აღნიშნულ სექტორებში არსებული ტენდენციების მოკლე მიმოხილვა:

### **ტურიზმი (განთავსება, სარესტორნო მომსახურება, სათავგადასავლო, გასტრონომიული და კულტურული ტურიზმი):**

მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის პირველ ნახევარში ქვეყანაში მკაცრი შეზღუდვები მოქმედებდა, სექტორის აღდგენითი პროცესის პირველი ნიშნები უკვე შეიმჩნეოდა. კოვიდ-19 ვირუსთან დაკავშირებული შეზღუდვების ნელ-ნელა გაუქმებამ, სახმელეთო საზღვრების გახსნამ და ბევრი მიმართულებით ახალი ფრენის დამატებამ სექტორის მოლოდინები აღდგენასთან დაკავშირებით გააუმჯობესა. 2021 წლის ივნისში საქართველოში ვიზიტორების რაოდენობა 32%-ით აღდგა 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ხოლო ფრენების რაოდენობა 72%-ით აღდგა 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. 2021 წლის პირველ ნახევარში, ვიზიტორების რაოდენობა ისრაელიდან და უკრაინიდან 50%-ით აღდგა 2019 წლის იმავე პერიოდის მონაცემებთან შედარებით. ამასთანავე, 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 2021 წლის პირველ კვარტალში, შიდა ტურიზმი 19.2%-ით გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ეროვნული პარკები, მუზეუმები და მუზეუმ-ნაკრძალები ძირითადად დახურული იყო. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სექტორს კვლავ უწევს პანდემიისგან შექმნილ რამდენიმე მნიშვნელოვან გამოწვევასთან გამკლავება - შესაბამისად, სექტორის სრული აღდგენა 2024 წლის ბოლომდე არ არის მოსალოდნელი. საქართველო, როგორც ტურიზმზე ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამოკიდებული ქვეყანა, სექტორის ვარდნამ კიდევ უფრო მეტად დააზარალა.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2012–2019 წლების მარკეტინგული კამპანიების მიხედვით, ადმინისტრაცია ყველაზე მეტ ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ხუთ ქვეყანაზე/რეგიონზე - უკრაინა, რუსეთი, ისრაელი, ყაზახეთი და სპარსეთის ყურის ქვეყნები. აღსანიშნავია ისიც, რომ 2013 წლიდან 2020 წლამდე, ტურიზმის ადმინისტრაცია აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებზე.

თვისობრივი კვლევისას ტურიზმის სექტორის სხვადასხვა ღირებულებათა ჯაჭვის წარმომადგენლების მიერ დასახელებული გამოწვევები ერთგვაროვანია: შეზღუდვების მოხსნის შემდეგ ტურიზმის სექტორში კადრების სიმწირე; მომსახურების ხარისხის

<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში ძირითადად გაანალიზებულია 2021 წლის პირველი კვარტლის მონაცემები, პროექტის გუნდმა გაითვალისწინა ტურიზმის სექტორში მიმდინარე პროცესები და აღნიშნული სექტორის ანალიზი მოიცავს 2021 წლის პირველ ორ კვარტლის იმ მაჩვენებლებს, რომლის შესახებაც ანგარიშზე მუშაობის პერიოდში ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია.

გაუარესების რისკი; კერძო და საჯარო სექტორის შორის დიალოგის ნაკლებობა; გაზრდილი ხარჯები; კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევები (მაგალითად, ვაქცინაციის ნელი ტემპი); ტურიზმის სექტორის ანტიკრიზისული გეგმის არარსებობა.

### **შემოქმედებითი ინდუსტრიები (მედია კონტენტის წარმოება, პოსტ წარმოება და არტიზანი):**

პანდემიამ შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორი განსაკუთრებით დააზარალა. 2020 წლამდე მედია კონტენტის წარმოების და პოსტწარმოების ღირებულებათა ჯაჭვებში ბრუნვის, დასაქმებისა და ინვესტიციების მიმართულებით შთამბეჭდავი ზრდა ფიქსირდებოდა. პანდემიამ ეს ზრდა შეაფერხა და სექტორი კვლავ აღდგენის პროცესშია. თუმცა, საინფორმაციო და კომუნიკაციების მთლიანი სექტორი 2020 წლის დონეს დაუბრუნდა.

მედია კონტენტის წარმოების, პოსტწარმოებისა და არტიზანის ღირებულებათა ჯაჭვები ყველაზე მოწყვლადი აღმოჩნდა პანდემიის პერიოდში. არტიზანის ღირებულებათა ჯაჭვისთვის 2020 წლის პირველი კვარტალი განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა - 2019 წელს სექტორის ბრუნვა 38.8 მილიონ ლარამდე იყო, ხოლო 2020 წლის პირველ კვარტალში 14.4 მილიონ ლარამდე დაეცა. მედია კონტენტის წარმოებისა და პოსტწარმოების ღირებულებათა ჯაჭვების ბრუნვა კი 5 მილიონი ლარით დაეცა 2021 წლის პირველ კვარტალში, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 2016 წლის პირველი კვარტლის შემდეგ. პოსტწარმოება, მედია კონტენტის წარმოება და არტიზანის ღირებულებათა ჯაჭვებში დამსაქმებლებს დიდი რაოდენობით თანამშრომლების შემცირება მოუწიათ. 2021 წლის პირველი კვარტლისთვის ამ ღირებულებათა ჯაჭვების დასაქმებულთა რაოდენობა 57.5%-ით შემცირდა 2019 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ კინოინდუსტრიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა - საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გაეგრძელებინა სახელმწიფო პროგრამა „გადაიღე საქართველოში“, რომელშიც შემდეგი ცვლილებები შევიდა: ბენეფიციარმა გარე აუდიტის ანგარიში ორი წლის ნაცვლად, ერთ წელში უნდა წარმოადგინოს; სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ 3 თვის ნაცვლად, 12 თვეში უნდა აანაზღაუროს კვალიფიციური ხარჯების 20%; აუდიტის ანგარიშის შეფასების კრიტერიუმები შეიცვალა; და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პროგრამისთვის განისაზღვრა წლიური ბიუჯეტი 5 მილიონი ლარის ოდენობით (ცვლილებებამდე პროგრამისთვის კონკრეტული თანხა არ იყო განსაზღვრული). სააგენტო ასევე გეგმავს პავილიონებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, რაც კიდევ უფრო მეტად დაეხმარება ისეთი გრძელვადიანი პროექტების განხორციელებას, როგორებიცაა ტელესერიალები და გადაცემები. სააგენტო იმედოვნებს, რომ პროგრამა კინოინდუსტრიას მნიშვნელოვნად დაეხმარება.

### **მსუბუქი მრეწველობა (ავეჯი, შესაფუთი მასალები, სამშენებლო მასალები, პერსონალური და დამცავი აღჭურვილობა და ხის სათამაშოები):**

2021 წლის პირველ კვარტალში, 2020 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, მსუბუქი მრეწველობის თითოეულ ღირებულებათა ჯაჭვის ბრუნვაში დაფიქსირდა პოზიტიური ნომინალური ზრდა, მათ შორის, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა შესაფუთ მასალებს (14.0%). ბრუნვასთან ერთად მოიმატა დასაქმებულთა რაოდენობამაც - ამ მაჩვენებლითაც შესაფუთი მასალები გამოირჩევა 15.1%-იანი ზრდით. 2021 წლის პირველ

კვარტალში დასაქმებულთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სამშენებლო მასალების, ხოლო ყველაზე ცოტა - შესაფუთი მასალების ღირებულებათა ჯაჭვში.

2021 წლის პირველ კვარტალში საშუალო თვიური შემოსავალი ავეჯის ღირებულებათა ჯაჭვში იყო 801 ლარი, ხოლო შესაფუთი მასალების ღირებულებათა ჯაჭვში - 1364 ლარი. შესაბამისად, ყველაზე დაბალი პროდუქტიულობა ავეჯის წარმოებაში (65,900 ლარი) ფიქსირდებოდა, ხოლო ყველაზე მაღალი - შესაფუთი მასალების წარმოებაში (136,300 ლარი).

კომპანიათა გამოკითხვის მიხედვით, პერსონალური და დამცავი აღჭურვილობის და ხის სათამაშოების კომპანიების დაახლოებით 50%-ის წლიური ბრუნვა 2021 წლის პირველ კვარტალში 2020 წლის I კვარტალთან შედარებით შემცირდა. პერსონალური და დამცავი აღჭურვილობების შემთხვევაში, ბრუნვა შემცირდა დაახლოებით 20-50%-ით, ხოლო ხის სათამაშოების შემთხვევაში - 50%-ზე მეტით. რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას 2021 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, პერსონალური და დამცავი აღჭურვილობების საწარმოებში თანამშრომლების რაოდენობა ძირითადად იგივე დარჩა, მაშინ როდესაც ხის სათამაშოების სექტორის შემთხვევაში, გამოკითხულთა 43%-ის მიხედვით, დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ მსუბუქი მრეწველობის სექტორს უწევს ისეთ გამოწვევებთან გამკლავება, რომლებიც პანდემიამდეც აწუხებდათ, მათ შორისაა - შეზღუდული წვდომა ფინანსებზე, სამუშაო ძალის დეფიციტი, დამოკიდებულება მასალების იმპორტზე, და შეზღუდული წვდომა ხარისხიან ადგილობრივი წარმოების ნედლეულზე. პანდემიამ დააზარალა მსუბუქი მრეწველობის სექტორში შემავალი თითოეული ღირებულებათა ჯაჭვი, თუმცა, დადებითი გავლენა ჰქონდა მხოლოდ პერსონალური და დამცავი აღჭურვილობების სექტორზე, რაც გამოწვეულია ამ სექტორის მიერ წარმოებულ პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნით. თუმცა, მსოფლიოს მასშტაბით მიწოდების ზრდასთან ერთად, შესაძლოა, ეს უპირატესობაც დაიკარგოს, განსაკუთრებით, პანდემიის დასრულების ფონზე.

**მყარი ნარჩენების მართვა და გადამუშავება:** მყარი ნარჩენების მართვა და გადამუშავება საქართველოსათვის შედარებით ახალი ეკონომიკური აქტივობაა. მიუხედავად ამისა, გარკვეული ტიპის ნარჩენების გადამუშავების პრაქტიკა ქვეყანაში უკვე დიდი ხანია არსებობს. ამჟამად, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვისა და გადამუშავების სექტორი აერთიანებს ისეთ ბიზნეს აქტივობებს, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის ნარჩენების გადამუშავებასთან, მათ შორისაა პლასტმასი, ქაღალდი/მუყაო, ხე, მეტალი, მინა, გამოყენებული საწვავი, ცვეთამდედეგი საბურავები, მანქანები, ელექტრო და ელექტრონული აღჭურვილობა, ბატარეა, აკუმულატორები და სახიფათო ნარჩენები.

აღნიშნულ ღირებულებათა ჯაჭვს აქვს განვითარების საკმაოდ დიდი პოტენციალი. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არ არსებობს საკმარისი რაოდენობის ნედლი მასალა - ნარჩენები, რაც აფერხებს წარმოების პროცესს. აქედან გამომდინარე, ნარჩენების სეპარირების პრობლემა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ამ კუთხით, მაგალითად, 2015 წელს მიღებული მყარი ნარჩენების მართვის კანონი (Georgian Waste Management Code) ავალდებულებდა მუნიციპალიტეტებს შეეგროვებინათ ნარჩენები და დაემკვიდრებინათ დანაწევრების პრაქტიკა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კანონის აღსრულება დღემდე არაა დამაკმაყოფილებელია. შედეგად, ნარჩენების გადამამუშავებელი კომპანიები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ ადგილობრივ ბაზარზე ნარჩენების მოპოვებაში. მეტიც,

ზოგიერთ კომპანიას არ აქვს წვდომა მუნიციპალურ ნარჩენებზე, რასაც საკუთარი წარმოების პროცესში გამოიყენებდა.

მყარი ნარჩენების მართვის სექტორი განიცდის როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების ნაკლებობას. ქართველი ინვესტორები არ ინტერესდებიან აღნიშნული სექტორით მისი დაბალი ცნობადობის გამო. ინვესტიციების მომავალი ნაკადები სექტორში, სავარაუდოდ, დამოკიდებული იქნება ქვეყანაში ნარჩენების შეგროვების პრაქტიკის შექმნაზე, ასევე, ნარჩენების მიწოდებაზე, რისი დიდი ნაწილიც ამჟამად ქვეყნიდან გაედინება გადამუშავებისათვის ან ნაგავსაყრებელზე ხვდება.

სექტორში გადამუშავებული ნედლეულის მხოლოდ მცირე ნაწილია იმპორტირებული. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, წარმოება ძირითადად ადგილობრივ ნარჩენებზეა დამოკიდებულია. მეზობელი ქვეყნებიდან ნარჩენების იმპორტი გაზრდიდა წარმოების მოცულობას, თუმცა, ჯერჯერობით ამის პრეცედენტი არ დაფიქსირებულა.

2021 წლის პირველ კვარტალში მყარი ნარჩენების მართვის და გადამუშავების სექტორის ბრუნვა გაიზარდა 19 მილიონ ლარამდე, რაც 18%-ით მეტია 2020 წლის იმავე მაჩვენებელზე. ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 7,502 ადამიანამდე გაიზარდა, რაც დაახლოებით 3%-ით მეტია წინა პერიოდთან შედარებით. აღნიშნულ სექტორში საშუალო თვიური ანაზღაურება 2021 წლის პირველ კვარტალში 912 ლარამდე დაეცა, რაც 3%-ით ნაკლებია 2020 წლის პირველ კვარტალთან შედარებით. მიუხედავად ანაზღაურების კლებისა, პროდუქტიულობა სექტორში შესამჩნევად გაიზარდა (15.5% YoY) – 10.2 ათასი ლარი. ასევე გაიზარდაშესაბამისი აგრეგირებული სექტორის პროდუქტიულობაც (8.3%-ით, რაც 22 ათას ლარს შეადგენს).

**გაზიარებული ინტელექტუალური სერვისები (ფინანსები და ბუღალტერია, არქიტექტურა, დიზაინი და ინჟინერია, მომხმარებელთან ურთიერთობის მართვა - CRM და ადამიანური რესურსების მართვა - HRM):**

მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტისა და ადამიანური რესურსების მართვის ღირებულებათა ჯაჭვების წარმომადგენლების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპანიების ძირითადი ნაწილი წარმოადგენდა მცირე ბიზნესებს, რომელთა ბრუნვაც 100,000 ლარზე ნაკლებია. უფრო მეტიც, კომპანიების დიდმა ნაწილმა (HRM – 54%; CRM – 60%) აღნიშნა, რომ 2021 წლის პირველ კვარტალში, 2020 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, მათი ბრუნვა გაიზარდა. მიუხედავად პოზიტიური ტენდენციებისა, HRM ღირებულებათა ჯაჭვის ბრუნვა დაახლოებით 8%-ით შემცირდა, მაშინ როდესაც CRM-ის ბრუნვა 19%-ით გაიზარდა. რაც შეეხება დასაქმებას, გამოკითხულთა უმრავლესობამ (HRM 44%, და CRM – 50%) აღნიშნა, რომ ეს მაჩვენებელი 2020 წლის პირველ კვარტალთან შედარებით არ შეცვლილა.

**გამჭოლი სექტორები (ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ელექტრონული ვაჭრობა):**

2021 წლის პირველ კვარტალში აღდგენითი პროცესები საკმარისი არ აღმოჩნდა გამჭოლი სექტორებისთვის. 2020 წლის პირველ კვარტალში სექტორში შემავალი ღირებულებათა ჯაჭვების ბრუნვა მნიშვნელოვნად შემცირდა. აღსანიშნავია, რომ პანდემიის დროს ელექტრონული ვაჭრობის ტრანზაქციების რაოდენობა დიდად არ შეცვლილა, თუმცა, შესამჩნევად დავარდა აზარტული თამაშების (გემბლინგი) სექტორის ტრანზაქციების პროცენტული მაჩვენებელი.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ღირებულებათა ჯაჭვის ბრუნვაში თავდაპირველად პოზიტიური კვარტალურ ტენდენციები შეინიშნებოდა, თუმცა, 2021 წლის პირველ კვარტალში მდგომარეობა შეიცვალა და ეს მაჩვენებლები შემცირდა. სექტორში დასაქმებულია სულ 52 ადამიანი და შესაბამისად, ნებისმიერი კომპანიის წარმატება ან წარუმატებლობა ზოგად სურათს მნიშვნელოვნად შეცვლიდა. 2021 წლის პირველ კვარტალში ელექტრონული ვაჭრობის ღირებულებათა ჯაჭვის ტრანზაქციების რაოდენობა და ღირებულება შემცირდა, რაც, შესაძლოა, განპირობებული ყოფილიყო მაღაზიებსა და სავაჭრო ცენტრებზე დაწესებული აკრძალვების გაუქმებით და, შესაბამისად, ონლაინ ტრანზაქციებზე მოთხოვნის შემცირებით.

რაც შეეხება ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის ღირებულებათა ჯაჭვს, უნდა აღინიშნოს, რომ საჰაერო ტრანსპორტირების ინდუსტრია, სხვა ღირებულებათა ჯაჭვებთან შედარებით, უფრო მეტადს დაზარალდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტი ძირითადად დამოკიდებულია მილსადენებსა და ელექტროენერჯის გადაცემაზე, რაზეც პანდემიას გავლენა არ ჰქონია, და ექსპორტირებული სერვისების მთლიანი ღირებულება 2021 წლის პირველ კვარტალში, 2019 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, გაიზარდა. ზოგადად, 2020 წელს, ამავე წლის მეორე კვარტლის გარდა, ტრანსპორტირების სერვისების ექსპორტი დეფიციტს განიცდიდა, 2021 წლის პირველ კვარტალში კი სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტის მიმართულებით დაფიქსირდა მცირე სავაჭრო ნამატი.